№ 1, კვირა 4 იანვარი, 1942 წ. თბილისი. გამოცემის წელი XIX. გამომცემლობა „კომუნისტი“ ფასი 50 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

N1-44

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲐᲮᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘ
ᲡᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲗᲘᲛᲔᲕᲘᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ
ᲕᲔᲠᲜᲐᲠᲓᲘ ᲗᲘᲣᲠᲩᲘᲚᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲢᲧᲣᲐᲡᲗᲐᲜ
ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲒᲣᲓᲔᲠᲘᲐᲜᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲥᲐᲚᲘᲜᲘᲜᲗᲐᲜ
ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲛᲔᲢᲠᲝᲕᲣᲡᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲥᲐᲚᲘᲜᲘᲜᲗᲐᲜ
ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲤᲝᲜ ᲨᲢᲘᲒᲚᲘᲪᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ
ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲕᲔᲠᲘᲡᲢᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ
ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲡᲘᲜᲢᲐᲥᲡᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ
ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲞᲘᲢᲔᲠᲡᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲗᲐᲜ
ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲞᲘᲢᲔᲠᲡᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲗᲐᲜ
ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲛᲔᲢᲠᲝᲕᲣᲡᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ
ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲗᲐᲜ
ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲞᲘᲢᲔᲠᲡᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲗᲐᲜ
ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲞᲘᲢᲔᲠᲡᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲗᲐᲜ
ᲕᲔᲠᲜᲐᲠᲓᲘ ᲗᲘᲣᲠᲩᲘᲚᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ
ᲕᲔᲠᲜᲐᲠᲓᲘ ᲗᲘᲣᲠᲩᲘᲚᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲗᲐᲜ
ᲕᲔᲠᲜᲐᲠᲓᲘ ᲗᲘᲣᲠᲩᲘᲚᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲗᲐᲜ
ᲕᲔᲠᲜᲐᲠᲓᲘ ᲗᲘᲣᲠᲩᲘᲚᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ
ᲕᲔᲠᲜᲐᲠᲓᲘ ᲗᲘᲣᲠᲩᲘᲚᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲗᲐᲜ
ᲕᲔᲠᲜᲐᲠᲓᲘ ᲗᲘᲣᲠᲩᲘᲚᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲗᲐᲜ
ᲕᲔᲠᲜᲐᲠᲓᲘ ᲗᲘᲣᲠᲩᲘᲚᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲗᲐᲜ
ᲕᲔᲠᲜᲐᲠᲓᲘ ᲗᲘᲣᲠᲩᲘᲚᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲗᲐᲜ
ᲕᲔᲠᲜᲐᲠᲓᲘ ᲗᲘᲣᲠᲩᲘᲚᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲗᲐᲜ
ᲕᲔᲠᲜᲐᲠᲓᲘ ᲗᲘᲣᲠᲩᲘᲚᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲗᲐᲜ
ᲕᲔᲠᲜᲐᲠᲓᲘ ᲗᲘᲣᲠᲩᲘᲚᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ
ᲕᲔᲠᲜᲐᲠᲓᲘ ᲗᲘᲣᲠᲩᲘᲚᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲗᲐᲜ
ᲕᲔᲠᲜᲐᲠᲓᲘ ᲗᲘᲣᲠᲩᲘᲚᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲗᲐᲜ
ᲕᲔᲠᲜᲐᲠᲓᲘ ᲗᲘᲣᲠᲩᲘᲚᲘ
ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ

ნახ. ს. ნადარეიშვილისა

1.

საახალწლო საჩუქრები მამაც წითელ არმიას—საბჭოთა პატრიოტებისაგან.

2.

საახალწლო საჩუქრები გერმანელ ფაშისტებს—მამაცი წითელი არმიისგან.

ყირიმში ადოლფ ყვანჩალას...

ანუ ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ დაჰკარგა ახლად გამოცხვარმა „უძლეველმა მთავარსარდალმა“ ადოლფ ჰიტლერმა ქერჩი და ფეოდოსია

კრილოვისებური

ყირიმში ადოლფ ყვანჩალას
ეშოვა ქერჩის ნაჭერი,
ფეოდოსიაც თან ჰქონდა
კლანჭებში გამონაჭერი.

და მტაცებელი, ვერაგი,
შავი სუდარის იერით
ზეზე შემოჯდა, ხაუზმის
ემზადებოდა მშიერი,

თან გულში ასე ფიქრობდა:
დიმირანში ვარ სწორედო,
ანგარიშები ამ ფრონტზე
აშკარად გავასწორეთო:

რაკი ეს ქერჩი პირში მაქვს
—ცოტა რომ წავიკაკვოო,
გავსწვდები, ხელში მიქნება
ბროზნოს ნავთი და ბაქოო,

ხელში მექნება ყუბანი,
კოლხეთი ჩაის ველითო,
კახეთში მტევნებს ვაზებზე
მოვწყვიტავ ჩემი ხელითო.

თქვა და მოღირა ნისკარტი
ბრძანების საკარნახევად
და მოაგონდა უეცრად
მოსკოვთან უკან დახევა.

როსტოვს განცდილი სირცხვილი,
გამოქცეული მხედრები,
ღმერთს ყუბანს არა—შერჩენას
სულიხას თხოვდნენ ვედრებით;—

რომ თვით ყირიმის აღებაც
ტყუილად დაუკვიხნია,
რომ ჯარმა სევასტოპოლთან
მარცხად მიახო ფეხია,

წინ ველარ იძვრის... ეს არის
უძლეველ სარდლის „გმირობა“?
„ეს ბრაუხიჩის ბრალია,
ვერ ამისრულა პირობა“. —

თქვა და დასწერა ფირმანი:
„ფიურერს ასე ენება,
ცხადდება მთავარსარდალის
პოსტიდან გადაყენება.—

მთავარსარდალი... მითხარით,
მთავარსარდლობას რა უნდა?
ნეტავ ეს აზრი აქამდი
მეფიქრა, მევარაუდა.

ეფრეიტორი მეც კი ვარ,
რად მიჩანს გასაკვირადა?..
ჯარებს ხომ მთავარსარდლობდა
ნაპოლეონი პირადად?

თუმცა იღბალმა მას თავზე
გადაუმტვრია კაკლები,
მაინც სარდლობით რითი ვარ
ნაპოლეონზე ნაკლები?“

და მან დასწერა: „თავს ვნიშნავ
დღეიდან მთავარსარდალად,
თავს მოვკვეთ ვინმემ ჩემს მარცხზე
თუ ენა გაატარტალა.

რის დამარცხება! დღეიდან
გიჩვენებთ წითლებს რას უზამ,
აქეთ რომ გორას წიხლსა ვკრავ,
იქითურ გორას ძვრას ვუზამ“.

ადოლფის სიტყვამ ბრაუხიჩს
ფერი უცვალა ხელადა,
რაკი „ლომობა“ წაუზდა
გადიქცა კუდა-მელადა.

ქება მიუძღვნა „ფიურერს“,
თქვა: „გენაცვალე ყელშიო,
მე წავხდი, მაგრამ შენით კ
გამარჯვება გვაქვს ხელშიო...

ღირსეული ხარ, გაუძებ,
უძლეველ ჯარს, ჩემით ობოლსა,
მხოლოდ მითხარი, ხომ მალე
აიღებ სევასტოპოლსა?“

ადოლფ ყვანჩალამ ამ ქებით
„როლში“ შეტოპა იქამდი,
რომ საპასუხოდ უეცრად
დაალო „ოქროს“ ნიხკარტი —

—„ავიღებ! ყვა, ყვა!“—გასძახა
ჰანგებით, „ოქროპირითა“,
და უცებ ადოლფ ყვანჩალას
ქერჩი გავარდა პირიდან.

მის დასაჭერად ანაზდად,
კლანჭი გაშალა, შოსწია
და კლანჭებიდან ბედკრულ ყვავს
გაუსხლტა ფეოდოსიაც...

*
* *

ეს „გამარჯვება“ ადოლფის
რადიომ ქვეყნებს ახარა,
და მის „მხედრული ნიჭის“ წინ
ჰებელსმა თავი დახარა.

ს. ისარიძე

ფრიდის წერილი

ფოსტის დამტარებელი ფუცხუნით შემოვარდა ლუდხანაში, გაპუტყიანებული კონვერტი დაუგდო დახლზე სიმსუქნისაგან დაკუტებულ კრიმჰილდას.

— ფრიდისგან არის?—იკითხა ქალმა და წერილს ხელი წაატანა.

— დიახ, ფრიდისგან. მაშინვე ვიცანი მისი ხელი,—მიუგო ფოსტის დამტარებელმა და ლუდის კასრს მიაჩერდა. კასრთან გიუნტერი თათურობდა. დონდლო, ბებერ ხელებით სატუმბს აცვამდა.

— გიუნტერ!—მიმართა კრიმჰილდამ უფრო მსუქანს, მაგრამ უფრო მოძრავ ქმარს.—დაუსხით ერთი ლუდი დამტარებელს. იგი მე დამპირდა ახალწლის დღემდე წერილის მოტანას და კიდევაც შეასრულა.

— ჰმ .—ჩაიზმუვლა გუნტერმა, ავის თვალით გადახედა დამტარებელს, მოზრდილი ჭიქა აავსო, და საყვედურით სავსე ტონით ჰკითხა ცოლს.—უფასოდ? ისე?

დიახ, უფასოდ, ასეთი სასიხარულო შემთხვევისათვის პოლდის უფლება აქვს პაპამისს დატოვებულ ქონებიდან ასე მცირე ხარჯი გასწიოს.

გიუნტერმა უსტყვოდ მიუტანა დამტარებელს ლუდი, ცოლთან მიბაჯბაჯდა. კონვერტს დახედა, უმალვე ხცნო აღმოსავლეთის ფრონტის საგანგებო შტემპელი და სიძის, ფრიდ ბონარის ხელი.

ერთადერთი შვილის და მემკვიდრის პოლდის ქმარი ფრიდი, გიუნტერს და კრიმჰილდას ეზიზღებოდათ. სიძე ვერ იჩენდა იმ ყურადღებას ლუდხანის პატრონ სიდედრისა და სიმამრის მიმართ, როგორიც ნაჭარავებ ბინაში გაზრდილ მემუსიკეს შვილს შეეფეროდა. კრიმჰილდას კი ვერ გაეგო, რას პოულობდა სასიყვარულოს მისი პოლდი ისეთ კაცში, ისეთ ქმარში, რომელიც ყველაფერს დასცინოდა, რაც კი მესამე იმპერიაში არსებობდა. მათ შორის—სიდედრსა და სიმამრსაც.

— კრიმჰილდა, ეს უკვე მეტისმეტია, ფრიდი ახლა უკვე თავის თავს დასცინის.—წამოიძახა ქმარმა და ფერილი ტკაცანით დაანარცხა დახლზე. კრიმჰილდამ ქაღალდს ხელი წამოავლო და ხმამაღლა კითხვა დაიწყო.

„ჩემო ძვირფასო,—წერდა ფრიდ.—თქვენ მთხოვთ თუნდაც ერთ ცალ პეტერბურგულ ტყავს სამოგვეებისათვის? ამას მე თქვენ შეგისრულებთ, თუ კი პეტერბურგი მის მისადგომებიდან საკუთარ ტყავს გაგვატანს. ამასთანავე ვიჩქარი ჩემი წარმატების ამბავი გაცნობოთ. ხუთი თვის ბრძოლის ჯილდოდ თქვენმა ფრიდმა შემდეგი ორდენები მიიღო: რევმატიზმი მუხლების კრუნჩხვით, კუჭის კატარი პირის ღრმინებით, ბუშტის და საშარდე მილების მთელი სისტემის მოშლა, ცინგა, ორივე ყურით სიყრუვე, პირველი და მეორე ხარისხის დაზვრა, თავი რომ დავანებოთ ჩემს უამრავ მეგობრებს. ტილებს იმედი მაქვს სულ ჩქარა მივიღო ფიჭვის ხის ჯვარი (იგი ჩემი ასეულის 85% უკვე მიიღო) უმაღლესი ჯილდო ყოველი გერმანელისათვის აღმოსავლეთში. ამ ჯილდოს რუსები გვაძლევენ და როცა მას მივიღებ, დივიზიის კანცელარია არ დააყოვნებს—იგი აცნობოს პოლდის“.

— ეს რას ნიშნავს გიუნტერ? — იკითხა კრიმჰილდამ და გაკვირვებული თვალებით მიაჩერდა ქმარს.

— სულელო, სულელო!—შეუღრინა გიუნტერმა და ბოდიშის ხდით მიაშურა შემოსულ მუშტარს.

— მაპატიეთ, ცოლთან სცენა მქონდა!—უთხრა გიუნტერმა მუშტარს, ლუდით სავსე ჭიქა მიაწოდა და ისევ ცოლს გადახედა, რომელიც წერილით ხელში გაშტერებული იჯდა სოსისკის გასაცხელებელ, ცარიელ ქვაბთან და პირზე ობმოკიდებულ მდგოგვით სავსე ფიალასთან. მუშტარმა გაიღიმა. ნაცნობი იყო და თამამად უთხრა გიუნტერს:

— არა ღირს საბოდიშოდ, გერმანიაში ახლა ყოველ ოჯახში იმართება სცენები, ფინალი-ღა დაგვრჩენია სანახავი.

— არა, ჩვენი სცენის მიზეზი აღმოსავლეთის ფრონტიდან მიღებული პოლდის ქმრის წერილი იყო. შენ იცნობ ფრიდს!

— სწორედ ეგ, აღმოსავლეთის ფრონტიდან მოსული წერილებია ყველა სცენების მიზეზი გერმანიაში.—თქვა მუშტარმა და ლუდის ჭიქას ხელი წამოავლო, აქ მეტი არაფერი წამომცდესო.

გ. ჩხეიძე

ნოგათები

გერმანელ ფაშისტთა მესვეურებს

ჰიტლერს

გსურდა ომის გამჩაღებელს,
მზაკვრების და მკვლელთა პაპას,
მოსკოველთა სისხლი გესვა,
ლენინგრადი შეგეყლაპა.
მაგრამ ხელი მიგატეხეს,
დაგიკარგეს ჭამის მადა.
კოვზი პირთან მიტანილი
უცებ ლაფში ჩაგივარდა.

გერინგს

ფიურერის ძმა კაცი ხარ,
ინაწილებთ ნადავლს ერთად.
დღეს რომ ჰიტლერს კისერს სტეხენ,
როგორღა გრძნობ, გერინგ, შენს თავს?!
ხედავ: აწმყო გიშავდებათ,
მომავალიც კარგი ვერ სჩანს.
ო, მადლობა უთხარ შენს ღმერთს,
თუ ოხერი ტყავი შეგრჩა.

ჰეგელს

ტრაბახს რატომ მოუკელი
ბაქიავ და ენაგრძელო!
როგორ მალე შემოვაკლდა
თქვენი მგლების სადღეგრძელო!
დამარცხების რწმენა ხალხში
როგორ გინდა გააქარწყლო?
რა მჭლეა და რა ღარიბი
შენი სუფრა საახალწლო.

ჰიმლერს

შენგან ნაყლეტ ხალხის სისხლით
გასვრილი გაქვს ჩექმის ლანჩა.
მოხუცი თუ ახალგაზრდა
დასახოცი ბევრი დაგრჩა?

ფონ ბრაუხიჩს

ბევრი ჯილდო მიგიღია
საბჭოეთზე მგლების მომდენს.
მოსკოველთა დარბევისთვის
მოელოდი ახალ ორდენს.
მაგრამ ბედმა გიღალატა,
დაგეჯახეთ რისხვად გზაზე,
დაეცი, და შენს ურდოში
მხეცს პანღური გითავაზეს.

გიორგი კაჭახიძე

როგორ იდღესასწაულეს გერმანელმა ჯარისკაცებმა შობა?

ქვემოდ იბეჭდება გერმანულ ენაზე დაწერილი სატირული ფურცელი, რომელიც უნახეს მოკლულ გერმანელ ჯარისკაცს.

„სახელმწიფო სამინისტროს ცნობა შობის დღესასწაულობის შესახებ“

1. იოსები—გაიწვიეს ჯარში.
2. მარიამი—მსახუროობს სათნოების დათ.
3. ყრმა იესო—ევაკუირებულია საჰაერო თავდასხმის საშიშროების გამო.
4. აღმოსავლეთელ მოგვებს—შემოსვლის ნებას არ აძლევენ.
5. მწყემსები შრომის ბეგარას იხდიან.
6. ბეთლემის ვარსკვლავი—დაბნელდა.
7. თივა და ჩალა—რეკვიზირებულია სამხედრო ხელისუფლების მიერ.
8. ბაგა, ისე როგორც სხვა გეჯა და გობიც გადაეცა ნაციონალ-სოციალისტების პარტიას.
9. ბოსელში—საზენიტო ქვემეხია დადგმული.
10. ვირებზე ლაპარაკი აკრძალულია.

ხელს აწერს ოთხი მოციქული:

„ადოლფი—ყოვლისშემძლებელი,
ჰებელსი—ცრუმეტყველი,
ჰიმლერი—ბრაზით ყბაქცეული,
ჰესი—გაქცეული“. („პრავდა“)

სანახაობანი ბერლინის ქუჩებში

ჰიტლერმა შემოიღო სიკვდილით დასჯა იმათთვის, ვინც არ შესწირავს თბილ ტანისამოსს ჯარისთვის.

გაზეთებიდან

ნახ. დონისა

ჰებელსი „ფიურერის“ დავალებით აგროვებს საახალწლო საჩუქრებს ჯარისათვის. შეწირულება ხდება „სრული ნებაყოფლობის“ საფუძველზე, როგორც ეს თვით სურათზედაც ნათლად სჩანს.

ამბავი კიბლერის „მამაცი" გენერლებისა და გაპენგილი ქულებისა

ნახ. გ. ლოგინოვისა

ფაშისტ-ბანდიტი
ფაშისტ
ჩუსანაკი
ბოიკი
გუდერიანი
ეროსტ ფონ-ალბერი
ფაბერნერი
ფონ-ბოკი
ფონ-ბოკი
ფონ-ბოკ

ახალგაზრდა მხატვრები—სამამულო ომის თემაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შურისძიების ალში

ნახ. გ. ყიფშიძისა

მთელ მსოფლიოს გადამბუგველ ომის ხანძრის გაჩაღება,
თუ რა ძვირად მათ დაუჯდათ, აწ იგემეს ყაჩაღებმა:
შურისგების ცეცხლის ალი მათ შავ ბუნაგს უკვე სწვდება,
ველარ იხსნის კაცის მკვლელებს სვასტიკაზე აცოცება.

შიშს დიდი თვალები ეძვსოთქვა

ნახ. გ. კელენჯერიძისა



— მოჰკალი ეგ კატა, თორემ უბედურებას გადაგვკიდებ
— რატომ?
— ალბად პარტიზანებმა გამოუშვეს, კვალს მოჰყვებიან და
შეგვამჩნიეს, გაქცევასაც ველარ მოვაბერხებთ.

ორ ცეცხლს შუა

ნახ. თ. მარგველაშვილისა

ჰიტლერი:—რა მეშველება, რაღა ვქნა სულ ამერია დავთარი:
წინ წითელი ჯარი მირტყამს, უკან—რუსული ზამთარი.

როსტოვთან

ნახ. ე. მარკოსიანისა

— უკვე დასრულდა შენი მარშრუტი, ამოცოცდი არამზად

დეკეშები

ბერლინი, მოსახლეობაში დიდი მითქმა-მოთქმაა: ამ დილით ჰეზელსმა რადიოთი გამოაცხადა, რომ დღეს არის ახალი წელი და ბერლინელებმა, რომელნიც არ უჯერიან ჰეზელსის არც ერთ სიტყვას, აღარ იციან—მართლა დადგა წელი, თუ ეს არის ჰეზელსის მორიგი ჭორი.

— : —

ბერლინი, ჰიტლერმა ბრძანება გამოსცა, რათა გაგრძელებულ იქნას 1941 წელი განუსაზღვრელი ვადით. ადგილობრივი წრეები ამას უკავშირებენ ჰიტლერის ცნობილ განცხადებას: ომს ახალ წლამდე დავამთავრებთო.

— : —

ბერლინი, გამოცხადებულია ჯილდო, ვინც იპოვის და ბერლინში წარადგენს იმ ჭოგრიტს, რომლითაც ჰიტლერის განცხადებით, დაუნახავთ „მოსკოვის შიგნითა ნაწილი". ხმა დადის, რომ ჭოგრიტი დაიკარგა გერმანიის არმიის მოსკოვის მისასვლელებიდან ელვისებური უკან გაქცევის დროს.

ბერლინი, როგორც სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, ჰიტ
ფსიქიური მდგომარეობა თანდათან გაუარესდა. მის მიერ თავის თავის მ
სარდლად დანიშვნას აქაური ცნობილი ფსიქიატრები თქლიან ამ მოვ
ფრიად სერიოზულ სიმპტომად.

— : —

ბერლინი, რათა თავიდან აცილებულ იქნას მასიური პანიკა,
მანიის იმ ქალაქებში, რომლებმაც განიცადეს ბომბარდირება, ჰე
განკარგულება გასცა დანგრეულ სახლებს შემოავლონ მაღალი მესრე
გააკრან წარწერები: „**აქ მიმდინარეობს მშენებლობა**".

მაგრამ აღნიშნულია შემთხვევები, როცა უცნობი ხელი იქვე აკეთებ
ნაწერებს: „სამუშაოთა მთავარი მწარმოებლები ინგლისი და საბჭოთა კავ

ა. შ—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ანდაზები

1. კოკასა შიგან რაცა დგას
ეგივე წარმოდინდება,—
ჰიტლერს სარდლობა შეშვენის,
როგორც თხას—ლომის დიდება.
2. ვიხაც მოუკლავს ის მოკლავს
ნადირსა შავი ტყისასა,
ჩვენი ლომგული მებრძოლნი
ჯავრსა იყრიან მტრისასა.
3. არამკითხე მოამბეო,
მიტყიპე და მიაგდეო,
ფაშისტს გულში ტყვია დასცხე,
თვალში ცეცხლი მიანთეო.
4. გიჟი მიუშვი ნებასო,
ოვით შეეყრება სნებასო..
ფაშისტი ვეღარ აიტანს
ჩვენგან ამოდენ ცემასო.
5. წვინტლიანი კაცისათვის
მიზეზია ავდარიო.
ფაშისტები გაჰყვირიან:
ჩვენ გვამარცხებს ზამთარიო.
6. არ არისო გვარი მისი,
ვერ შეჯდება ხესა მწყერი,
უკუქცეულ ფაშისტ ბანდებს
წინ წყალი, უკან — მეწყერი.

სან—

ფაშისტ ჯარისკაცის ღღიური

ივნისი

კაპიტანმა ასე გვითხრა:
გამოვიცვლით მალე ჰავას:
ჩვენი ჯარი საბრძოლველად
აღმოსავლეთისკენ წავა;
„საბრძოლველად“ ვამბობთ, თორემ
იქ ბრძოლაში არც ვიქნებით, —
საბჭოეთის ქალაქები
დაგვითმობენ ბჭეებს ნებით.
შეიქნება რუსის ჯარი,
ჩვენი დარტყმით დანალეკი —
და ჩვენ ვსჭამოთ ხიზილალა,
თეთრი პური, ცხელი სუპი!

აგვისტო

კაპიტანმა მოგვატყუა,
დღეს აშკარა ჩვენთვის არი.
ბრძოლა წითელ არმიისა,
გმირულია, საოცარი.
ჩვენი ჯარი იქლიტება
„სს“-ების დასდგეს გორი,
აქ იოლი გამარჯვება
სიკვდილია მონაჭორი.
ისმის ტყვიის ზუზუნი და
ყუმბარების ზაპა-ზუპი.
არსად არის საოცნებო
თეთრი პური, ცხელი სუპი!

ოქტომბერი

ჩვენ ემარცხდებით და თანდათან
ემატებათ წითლებს ძალა.
პურის ქერქიც გვინატრება,
რის სუპი!?.. რის ხიზილალა!?..

დეკემბერი

წითელ ჯარის ტალღა გვიტევს
კიდევ უფრო მაგრად ახლა.
უკან სწრაფად გამოვრბივართ,
თუმც გვიკვიცავს მუხლებს დაღლა.
მშვიერებსა და განაწამებთ,
არც არაყი არ გვაქვს ყლუპი —
აღარ გვჯერა აწ ვიხილოთ:
თეთრი პური, ცხელი სუპი...

1942 წ. 1 იანვარი

მოულოდნელ სიხარულით
ცრემლმა იწყო ღაპა-ღუპი:
ტყვედ ჩავვარდი და მეღირსა —
ვსჭამო პური, ვხვრიპო სუპი.

ყირიმელი

თავი მაინც მოიკუჭეს

გერმანელები ვერ ახერხებენ მოსკოვთან დამარცხების სრულ უარყოფას. მაგრამ ახლა მას „ადგილობრივ მნიშვნელობის“ მოვლენად სთვლიან.

გაზეთებიდან

ნახ. ი. დინოგორცევასი.

ᲐᲛᲔᲚᲘ—**გულს მაინც არ გავიტეხ, წითელი არმიის მიერ მოსკოვთან 120.000 გერმანელი ჯარისკაცის დახოცვაც ადგილობრივი მნიშვნელობისაა და ამიტომ დახოცილებათ არ შეიძლება ვიანგარიშოთ.**

საახალწლო საჩუქარი

მას შემდეგ, რაც ფაშისტები გერმანიის სათავეში მოექცნენ, კაპიტან ვაიმისის ცოლი ბერტა ვაიმისი ყოველ წელს აწყობდა ახალწლის შეხვედრას. ან რატომ არ მოაწყობდა? ეხარჯებოდა რამე თუ? ნაძარცი და ნადავლი ჯერ გერმანიის ქალაქებიდან მოდიოდა, ხოლო შემდეგ ევროპის ყოველ კუთხიდან.

ჩვეულებრივ ძუნწი და პურაძვირა ბერტა ახალ წლის შეხვედრას გულუხვად ხვდებოდა. ამ დღისათვის მის ქმარს ჩვეულებად ჰქონდა საახალწლო ამანათის გამოგზავნა. ბერტას თავის გამოჩენა უყვარდა და მოიპატიჟებდა ნათესავებსა და მეგობრებს, დასვამდა მაგიდის გარშემო, დადგამდა შეფუთვინელ ამანათს მაგიდაზე, თავად ადგებოდა და დიდის ზიზღით იტყოდა:

— ჩემმა ქმარმა საახალწლო ამანათი გამომიგზავნა. ღმერთმა თქვენს ოჯახსაც ნუ მოაკლოს ასეთი ამანათი მრავალ წელს. გილოცავთ ახალ წელს!

შემდეგ ბერტა გახსნიდა ამანათს და ამოჰქონდა საჩუქრები.

ბედნიერი იყო თავმომწონე ბერტა. მას ულოცავდნენ, ტაშს უკრავდნენ, შურდათ მისი და ელაჭუცებოდნენ მას.

აი, ამ წელსაც მოიწვია ბერტამ სტუმრები. არამც თუ ნათესავები და მეგობრები, ნაცნობ-მეზობლებიც. ასეთი რაოდენობა სტუმრებისა არავის გაჰკვირვებია, რადგან უკანასკნელ წელს კაპიტანი ვაიმისი უკრაინაში იყო და განუწყვეტლივ აგზავნიდა მდიდარ საჩუქრებს. ქონი, პური, ძეხვი, ლორი, კარაქი, ყველი... რა გინდა სულო და გულო, რომ არ ყოფილა იმ უკრაინაში... მართალია, ასეთი საჩუქრები მრავალათეული ადამიანის სიცოცხლედ უჯდებოდა კაპიტანს, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ბერტას მიეღო საჩუქარი და ბერტაც ღებულობდა საჩუქარს. ადამიანების სიცოცხლეს კი ფაშისტი კაპიტანი რას დაეძებდა.

— რა საჩუქარს გამოგზავნის კაპიტანი წელს? რას?—ეკითხებოდნენ ერთმანეთს სტუმრები და ყველანი ბერტას უყურებდნენ.

ბერტა კი ფარშავანგივით მორთული დადიოდა დარბაზში, იცინოდა, ოხუნჯობდა და საათის ისარს უყურებდა.

ნერვები უაღრესად დაიძაბა, როდესაც 12 საათს 5 წუთი უკლდა, ყველანი გარს შემოეხვივნენ მაგიდას. ხშირი სუნთქვისაგან ოხშივარი დადგა. ბერტა შეეფიდა მეზობელ ოთახში, გამოიტანა ამანათი და მაგიდაზე დადგა.

— ჩემი ქმრის საჩუქარია საბჭოთა რუსეთიდან,—მედიდურად სთქვა ბერტამ,—აქამდე უკრაინაში იყო. ახლა კი, ეს ერთი თვეა, რაც მოსკოვისაკენ გადაიყვანეს. ეს ამანათიც მოსკოვის ფრონტიდანაა. მე ვცნობ, ეს მისი ადიუტანტის ხელით დაწერილი მისამართია, როგორც ყოველთვის.

— აახ! ოოხ!—აღმოხდათ სტუმრებს.—ბერტა, ჩქარა!...

ბერტამ შეხედა საათს... აჰა, თორმეტიც... ახალი წელი კარს უკაკუნებს...

— ღმერთმა თქვენს ოჯახსაც ნუ მოაკლოს ასეთი საჩუქარი მრავალ წელს! მრავალს წელს —დიდის ამბით სთქვა ბერტამ.—გილოცავთ ახალ წელს!

ბერტამ მკრელი დანა შეჰყო ამანათის კიდეს, შეაკრა ნაპირი და აჰხადა თავი.

— ვაააი!—შეჰკივლა ბერტამ და ნაძარცვ-ნადავლზე გასუქებულმა ქალმა იატაკზე ბრაგვანი მოიღო.

ყუთში მოკლული კაპიტნის მუნდირი და ქუდი იყო. ეს სამგლოვიარო ამანათი ოჯახისთვის გამოეგზავნა მის ადიუტანტს. მუნდირსა და ქუდს მცბენარები დასეოდნენ. ისინი ამოდიოდნენ ზევით ჩუმის საშინელებით, არხევდნენ ფარაჯასა და ქუდს, თითქოს უნდოდათ მიერთმიათ ბერტასათვის უნახავი საახალწლო საჩუქარი.

როდიონ ქორაქია

საredaქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: ყორეხის ქ. № 5.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1942 წ. 15/I. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, გამოც. № 1. შეკვეთა № 16. ᲣᲔ1218. ტირაჟი 15.000.

42-7

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბელისნაერო ნუგეში

ნახ. დოინაა

1942 ჭელი (ჰიტლერს)—გულს ნუ იტეხ, ბედმა თუ გაგწირა, მე მაინც არ გიღალატებ. უშენოდ ფეხს არ გადავდგამ: თან წაგიყვან ჩემო მეგობარო!